წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წითელი
კომბალი

ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქ. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

სამშაბ. 24 ოქტომბერი. 1922 წ.

№ 126 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 126

ლოიდ-ჯორჯის გადადგომის გამო.

ერთად და სოლიდარულად აწარმოებდნენ ინგლისი და საფრანგეთი მსოფლიო ომში გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლას, და როგორც ზავის ჩამოგდების საკითხში, ისე შემდეგაც ორივე ერთად უნდა მოვლინებოდნენ მთელი მსოფლიოს მბრძანებლებათ და ბატონ-პატრონად..

ასეთი იყო სურვილი — ურეაქციონესი სახელმწიფოსი — საფრანგეთისა.

და კიდევაც შესძლო მან პირველ ხანებში ინგლისი და მისი მთავრობა დაეთანხმებინა, მასთან ერთად მოეწერა ხელი ვერსალის ზავზე.

მაგრამ დიდი და მწვავე იყო მსოფლიო ომი და დიდი და მწვავე იქნა შედეგი მის დატოვებული.

მსოფლიო ომით განადგურებული და დარბეული მრეწველობა და მეურნეობა საშინელ კრიზისამდის მისული უნდა ამდგარიყო, აღორძინებულიყო. და როცა საფრანგეთი, სხვის გაძარცვით და გაძვალ-ტყავებით სცდილობდა ამ კრიზისიდან თავის დაღწევას, როცა საფრანგეთი დასახრჩობათ მიადგა გერმანეთს და მისი გაძვალ-ტყავებით სურდა აენაზღაურებინა თავისი დანაკლისი, ინგლისი—ლოიდ ჯორჯის მეთაურობით უფრო ლოიალურ გზას დაადგა და გერმანეთთან ზოგვარ კომპრომისებით, სცდილობდა თავისი საქმეების მოგვარებას და თან გერმანეთის უეჭველი სიკვდილისაგან გადარჩენას.

აქ გაიბზარა კავშირი ინგლის-საფრანგეთისა, რომლებმაც ბოლოს თავისი სამოქმედო ასპარეზი, უფრო კარგათ, რომ ვსთქვათ „ხმალში გამოწვევა“, გადაიტანეს ახლო-აღმოსავლეთში.

რას ვხედავთ აქ?

როცა ინგლისი, დაინტერესებული სრუტეების თავისი ხელში მარად დაჭერით და მათი შემწეობით თავისი ბატონობის მთელ აზიაში საბოლოოდ განმტკიცებით, გვერდით უდგება საბერძნეთს და მისი დახმარებით და მისივე ხარჯზე ფიქრობს თავის მიზნების განხორციელებას, საფრანგეთი წინააღმდეგ ინგლისისა, ეხმარება ქემალ ფაშას, მით უმეტეს, რომ ინგლისზე ნაკლებ არც მას სურდა სრუტეების დაჭერით აზიაში ბატონობა.

აქ ერთი — მეორეს თუმცა, მალულად და შეუჩნევლად, დაუპირდაპირდა ინგლისი და საფრანგეთი და ბერძნების და შერცხვენით დამარცხებულ იქნა კიდეც ინგლისი. ამან კი თვალ-საჩინოდ დასცა ინგლისის პოლიტიკის მესაჭის ლოიდ ჯორჯის პრესტიჟი როგორც სხვა და სხვა მუსულმანურ ერებში, რომლებმაც უკვე აჯანყებების მოწყობაც კი დაიწყეს, ისე თვით ინგლისის პოლიტიკურ წრეებშიაც.

ინგლისის პრესაში ყრუდ გაისმა პროტესტები ლოიდ ჯორჯის წინააღმდეგ და თანდათანობით ფეხს იკიდებდა ის მოსაზრება, რომელიც საფრანგეთთან თანხმობით გულისხმობდა ბატონობას მთელ მსოფლიოში. ამ მოსაზრების გამომთქმელი იყო მეტ ნაწილად ინგ. კონსერვატიული პარტია, და აი კიდეც მან აშკარად მოითხოვა ლოიდ-ჯორჯის გადაყენება, რომელიც უკვე გადადგა.

ამნაირად გაიმარჯვა პუანკარეს პოლიტიკამ, რომელსაც სურს საშინელ რეპრესიული ზომებით მთელი მსოფლიოს დამორჩილება და თავისა და ინგლისის შორის განაწილება.

პუანკარე დღეს ზეიმობს და უნდა იცოდეს ყველამ, რომ ამით ძლიერდება უდიდესი მტერი როგორც გერმანეთისა და საბჭოთა რესპუბლიკებისა, ისე სხვათა.

გერმანეთს დღეიდან არ ეყოლება მოსარჩლეთ ლოიდ-ჯორჯი, პუანკარე და ბონარ-ლოუ (ლოიდ-ჯორჯის მაგივრათ აირჩიეს) შეუბრალებლად დაუწყებენ მას ტყავის გაძრობას.

საბჭოთა რესპუბლიკებსაც შორდება დღეს ცოტათი უფრო ლოიალური პოლიტიკა ლოიდ ჯორჯისა, მაგრამ მისთვის მაინც სულ ერთია, მას პუანკარესი არ ეშინია, რაც უნდა სასტიკი გახდეს ის, რომელიც ბოლოს თვით დაადგება რუსეთთან ლოიდ-ჯორჯის გზას, რადგან დიდია რუსეთი, როგორც ფაქტი ძლიერებისა.

ცოტათი ლოიდ-ჯორჯის გადაყენებით უფრო რთულდება საკითხი თვით ინგლისელ მუშებთან დამოკიდებულების.

როგორც ვიცით ლოიდ-ჯორჯს, როგორც მოხერხებულ კაცს ყოველთვის ქონდა მუშებთან გამონახული საერთო ენა, რითაც მათში ახშობდა რევოლიუციონურ სულს და მოძრაობას.

ბონარ-ლოუს კი არ შეუძლია ეს გეზი აიღოს მათთან დამოკიდებულების დროს, ამას კი შეუძლია, მუშებისთვის თვალის ახილვა და მათი გამოფხიზლება, რაიც უფრო მალე აახთებს, მათში ცეცხლს რევოლიუციისა და ვაი, მაშინ ბონარ ლოუებს, პუანკარეებს და მათ ლაქია გენდერსონებს და ტომასშოუებს.

დღევანდელი ცნობები

— **წინასწარი კონფერენცია ახლო-აღმოსავლეთის, საკითხის შესახებ გადადებულია განუსაზღვრელ ვადამდე.**

— **ფრაკიაში მოეწყო ოსმალეთის ადმინისტრაცია.**

— **ვირტმა განაცხადა, რომ გერმანიაში მზადდება ახალი შეთქმულება სახელმწიფო გადატრიალებისათვის.**

ახლო აღმოსავლეთის ამბები.

— ანგორის სახელმწიფო ქონებათა კომისარიატმა განთავისუფლებულ ადგილებში მცხოვრებთა დახმარების გასაწევად გაგზავნა სმირნაში 2000.000 ლირა, კარა-გისარში 5,000 ლირა და კუდანიაში 5.000 ლირა. მიღებულია მთელი რიგი სხვა ზომებისა მცხოვრებთა დასახმარებლად ყველა განთავისუფლებულ რაიონებში.

— მოკავშირეებმა გამოაქვეყნეს ცნობა, რომ უმნიშვნელო ინციდენტების გამონაკლისით, მათ მიერ აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაცია მიმდინარეობს დაკმაყოფილებული სახით.

— რკინის გზებზე მიმოსვლა აღმოსავლეთ ფრაკიაში აღდგენილია.

— მოკავშირეთა გენერლებმა და ანგორის წარმომადგენლებმა რეფედ-ფაშამ მოაწყვეს ოსმალეთის ადმინისტრაცია ფრაკიაში.

— „ტაიმსი“ იტყობინება, რომ წინასწარი კონფერენცია ახლო-აღმოსავლეთის საკითხის შესახებ გადადებულია განუსაზღვრელ ვადამდე.

გერმანიაში.

— კანცლერმა ვირტმა დიდი სენსაცია მოახდინა რეიხსტაგში თავის მიმართვით ნაციონალისტებისადმი, რომელთაც კანცლერი მოუწოდებდათ გამსჭვალულიყვნენ მდგომარეობის სერიოზულობით, ვინაიდან სარწმუნო ცნობებიდან ირკვევა რომ ამზადებენ ახალ პოლიტიკურ მკვლელობებს. ვირტმა დაუმატა, რომ შეთქმულების ზოგიერთი მონაწილეები უკვე შეიპყრეს, რომლებიც გამოტყდენ მონაწილეობაში და გამოაქვეყნეს გეგმა მომავალისათვის განზრახულ გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეების მოკვლაში.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

— თეოდორ ვოლფი „ბერლინერ ტაგებლატში“ აუცილებლათ სთვლის რაპალოს ხელშეკრულების გავრცელებას ყველა საბჭოთა რესპუბლიკებზე და მათ შორის საქართველოზედაც.

რუსეთი.

— გაზ. „პტი პარიზიენი“ ბეჭდავს წერილების მთელ სერიას რუსეთზე, რომელშიაც პროპაგანდას ეწევა საფრანგეთის რუსეთთან დაახლოვების აუცილებლობის შესახებ.

სხვა და სხვა ამბები

საფრანგეთი.

— კლემანსოს, რომელიც ეხლა 80 წ. მეტის არის, განზრახული აქვს გაემგზავროს შეერთებულ შტატებში იმ მიზნით რომ გამოარკვიოს თავისი თვალსაზრისი, შესახებ საფრანგეთზე თავდასხმისა მისი იმპერიალიზმისა და მილიტარიზმისათვის. ამერიკის წრეებში კლემანსოს განზრახვას ხვდებიან თანაგრძნობით. გაზეთები უწოდებენ მას ერთ საუკეთესო თანამედროვე მოღვაწეს.

რუმინეთი.

— რუმინიის მეფის კურთხევის დღეს რუმინიის ნაციონალისტების ლიდერს ვოევოდას სურდა მოეწყვია ნაციონალისტური ყრილობა. პრემიერმა ბრატიანომ დაემუქრა ვოევოდას ზარბაზნებით, თუ ყრილობა შეიკრიბებოდა. ნაციონალისტებმა, რუმინიის გლეხების პარტიამ და ბუკოვინის და ბესარაბიის პარტიებმა გადასწყვიტეს არ გაგზავნონ წარმომადგენლები კურთხევაზე. ვენგრიის ელჩი ბუქარესტში არ დასწრებია კურთხ.

პოლონეთი.

— მთელ პოლონეთში სწარმოებს სისტემატიური დევნა „ქალაქისა და სოფლის პროლეტარების, კავშირისა.“ დომბროვის ბასეინში პოლიციამ დახურა კავშირის ყველა საარჩევნო ბინები. ჩესტოხოვში დატყვევებულია კავშირის საარჩევნო კომიტეტი. ასეთივე ამბები ხდება სხვა პოლონეთის ქალაქებშიაც.



სად არიან პოლიტ-ხელები.

მე-3-ე ლეგიონის გუნდების და ჯგუფების უფროსებს მიაქვთ გაზეთები სამკითხველოდან თავის ბინაზე, ხშირად კი პურსაც ახვევენ შიგ გაზ. „კომუნისტი“ რომელიც ერთი ეძლევა წითელ არმიელებს ისიც აღარ ჩერდება გუნდში. ამის შესახებ საჭიროა ზომების მიღება. სად არიან ამ დროს პოლიტ-ხელმძღვანელები?!

ეს ყველაზე უფრო შეეხება მუსიკალურ ჯგუფს.

მამალი.



ქართულ წითელ ჯარის შექმნას
ლენინი მთებით დაჰხარის
და შვილების მამაცობით
ქვეყანა იპყრას-მზათ არის.

მსოფლიოს ცეცხლი ედება,
გრიალებს ძლევისა ქარი..
და მაშ! უკვდავ აზრებით
იზრდება ჩვენი ლაშქარი.

კულტკომისია მუშაობს.

დღემდის მეორე ლეგიონში კულტ კომისიის მუშაობა მოიკოჭლებდა. ამის მიზეზი იყო თვით კომისიის წევრების გულგრილობა, თუმცა უმთავრესად მუშაობას ხელს უშლიდა სათანადო თანხის უქონლობა.

ამისათვის კულტგანმანათლებელ კომისიამ გადასწყვიტა გაემართა გრანდიოზული სალამო, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი. ამისათვის ლეგიონში იქნა არჩეული სალამოს მომწყობი კომისია, რომელშიაც შევიდნენ შემდეგნი ამხანაგები: 1) **დოლიძე** 2) **ბოსიკაშვილი**, 3) **ლორთქიფანიძე**. 4) **ნანაძე**, 5) **დგებუაძე და** 6) **აბდუშელი**. კომისია შეუდგა მუშაობას მაგრამ ვინაიდან ამ სალამომ მიიღო ფართე ხასიათი ამისთვის საჭიროდ დაინახა კომისიამ დაემატებია კიდევ რამდენიმე პირი: **მარია ფასეიშვილი, ქორქაშვილისა, გიორგი რამიშვილი, ელენე ბელოვისა და ლევან ქორქაშვილი**. ამ შეერთებულმა კომისიამ მოაწყო დიდი სალამო, რომლის მზგავსი ბათომში იშვიათად გამართულა.

სალამომ ყოველ ხარჯებს გარეთ დასტოვა: ასოთხმოცი მილიონი მანეთი (180.000.000 **მან**). დამსწრე საზოგადოება დიდი კმაყოფილი დარჩა. ასეთ დიდი თანხის შეგროვება მიეწერება კომისიის ენერგიულ მუშაობას. განსაკუთრებულ ენერგიით მუშაობდნენ: მარიამ ფასეიშვილი და ჩვენი შეფის წარმომადგენელი **გიორგი რამიშვილი**.

მეორე ლეგიონის წითელ არმიელები, პოლიტხელმძღვანელები და უფროსობა უცხადებს ორთავე კომისიას ულრმეს მადლობას.

დღეს კულტგანმანათლებელ კომისიას უკვე ფული აქვს.. ახლა საჭიროა თვით კომისიის მუშაობის უფრო გაძლიერება და ღირსეულ სიმაღლეზე დაყენება.

ყარაჩოღელი.

მადლობა პოლიტ-ხელმძღვანელს ბურდილაძეს

ჩვენ, პირველ შეერთებულ სამხედრო სკოლის უმწყობრო ასეულის წითელ არმიელნი მადლობას ვუცხადებთ ამავე ასეულის პოლიტხელს ამხ. ბურდილაძეს, რადგან მან თავისი ენერგიული მუშაობით მოაწყო ჩვენ ასეულში სამაგალითოდ საპარიკმახერო და ბიბლიოთეკა სამკითხველო, სადაც წითელ არმიელები თავისუფალ დროს ვანდომებთ გაზეთებისა და წიგნების კითხვას. ვისურვებთ, რომ ამხ. ბურდილაძეს კიდევ ასე ენერგიულად გ ნეგრძო თავისი მოყაითი მუშაობა ჩვენი წითელ ჯარის საკეთილდღეოთ.

ამხ. მონდობილებით

წ. არმ. მ. ტ. **ლონლაძე**

ჩვენი შეფის უყურადღებობა.

ობ. მცველ მხლებელთა ათასეული აიყვანა ამ ხუთი თვის წინად თავის მზრუნველობის ქვეშ თბ. შინაგან მრეწველთა კავშირმა. გადის დრო და ათასეულმა არ იცის არც ერთი სერიოზული დახმარება. ჩვენ ათასეულის წითელ არმიელებს თამბაქოც კი არ მიგვიღია. სირცხვილი კია, ასეთ ძლიერმა ორგანიზაციამ, რომელიც აერთიანებს 30,000 წევრს თამბაქოც ვერ უყიდოს, ათასეულში ორას კაცს.

ჩემის გზით ასეთი გულ გრილობა უნდა აიხსნებოდეს კავშირის გამგეობის გულგრილობით, რომელსაც არავითარი საფუძველი არა აქვს კავშირის წინაშე თავი იმართლოს.

ჩვენ მაინც კმაყოფილი დავრჩებოდით, რომ ჩვენ „შეფს" ერთი მაინც შემოეარა ათასეულში და გაეგო ჩვენი ჭირ-ვარამი. ნათქვამია: „წმინდა გულით ცოტაც შეიწირების-ო" და ჩვენც დიდი ალტაცებით, შევეგებებოდით ასეთ მზრუნველობას.

„დუბლიკატი".

მოუწესრიგებლობა.

მცველ მხლებელთა ათასეულს ყავს ათი ცხენი, მაგრამ მაინც არ ხმარდება ათასეულს პურის მოსატანად და წითელ არმიელების ავადმყოფობის დროს ქსენონში გადასაყვანად. განა დასაშვებია პურის ხელით ზიდვა მაშინ როდესაც ათასეულის ამდენი ცხენები ყავს? მაგრამ საქმე იმაშია, რომ ათასეულს აქვს სამი ეტლი და აბა პურისთვის ცხენებს სადღა ეცლება?!

ასეთი მოუწესრიგებლობა არ არის დასაშვები. ცხენები უნდა ხმარდებოდეს ათასეულის საჭიროებას და არა სეირნობისთვის უნდა ინახებოდეს ათი ცხენი.

„დუბი."

კოოპერაცია.

კოოპერაციის შესახებ.

(მოხსენება გოგოლაძისა).

(გაგრძელება)

აი როგორ მივედით ჩვენ იმ დასკვნამდის, რომ კოოპერაცია არის მესამე ფორმა მშრომელთა მოძრაობისა, შრომის პირობების და ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

მე მოვიყვან მეორე მაგალითს კოოპერაციის ისტორიიდან, რომელიც უფრო გაამჟღავნებს ჩემ მიერ დასახელებულ დებულებებს.

ეს არის როჩდელის სახელგანთქმული კოოპერატიული საზოგადოება. იმის დაარსება მოხდა 1843 წ. ინგლისის მაყრუებულ საფაბრიკო კალაქ როჩდელში. მერე იცით, ამხანაგებო რა ნივთიერი სიმდიდრის პატრონი იყვნენ ამ საზოგადების დამაარსებელნი? ეს იყო რამოდენიმე უმუშევართა ჯგუფი. იმდენათ ღარიბი და უმწეო, რომ ხშირათ ყოველ დღე პურიც კი არა ჰქონდათ საკმაო, თითქმის სულიერათაც იყვნენ დაცემულნი.

მუშათა კოოპერაცია იქ წარმოიშვა როგორც შედეგი პოლიტიკური რეაქციისა, რომელიც გაძლიერდა ჩარტისტების რევოლიუციის წაგების შემდეგ 1840 წ. რევოლიციონური ორგანიზაციების დარბევის შემდეგ მუშებს უფრო ადვილათ მხოლოთ ეკონომიური ორგანიზაციის დაარსება და შეეძლოთ

ისინი შეიკრიბნენ და ბჭობდნენ, რომ საქსავი ქარხნები კაპიტალისტების ხელშია; ვაჭრები მუშტრებით ცხოვრობდნენ; მათ კი არ გააჩნიათ არც პირველი და არც მეორე. იმათ გადასწყვიტეს დაეგროვებიათ საფასო და გაძლოლოდნენ სავაჭროს. შეადგინეს საზოგადოების წესდება, რომელსაც უწოდეს „როჩდელის საზოგადოება სამართლიან პიონერებისა" (1914 წელს მათი საწარმოვო თანხა უდრიდა ორ მილიონ მანეთს, იმავ 1914 წელში ინგლისში არსებობდა 1600 ზე მეტი კოოპერატიული საზოგადოებანი, მათი მოგება აღემატებოდა 90 მილიონ მანეთს) ასთე პატარიდან დაწყებული საქმე საკოოპერაციო და მტკიცეთ ღლილი მისი გზა გაფართოვდა იმდენათ, რომ შემდეგ სხვაგანაც დაიწყეს მიბაძვა და დაარსება მგზავსი მოხმარებელ საზოგადოებისა. ხოლოთ მამოძრავებელი მიზეზი რჩება იგივე: ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამას ამტკიცებს კოოპერატივების დაარსების პირველი ისტორია გერმანიაში, რომელიც ითვლება საწარმოვო კოოპერაციის სამშობლოდ. როგორ გაჩნდა იქ პირველი კოოპერაცია? აი როგორ 1846 წელს, მოუსავლიანობის გამო, მეტათ დაზიანდა მშრომელი ნაწილი მცხოვრებთა.

დაარსდა კოოპერაცია, რომელსაც უწოდეს „დამხმარე კომიტეტი" ამ კომიტეტმა იჯარით აიღო წისქვილი და ფურნე, გააიაფა პური და ამით გაუადვილა ცხოვრების პირობები ადგილობრივ და ახლო მახლო მდებარე სოფლების მცხოვრებთ.

ჟუმბარა

პ. ბ. სასადილოში.

(მოქმედება სარკის წინ რვა ენაზე, მღერითა და მენიუთი.)

მარკიზა ლიდენაუ.

ო, სინიორა ოლენი!
ნე პრავდა, ია კრასოტკა?!
ორეუარ! ია უხოჟუ—
თუ პეტომ ხვალ არ გამჩოთქა.

სინიორა ოლენი.

ვივატ! პერუდაი კოლი.
ლიდენაუ ო, მარკიზა!
კაკ ია ლიუბლიუ, ყურბანოლუმ!
შალახა, სიშ-ხულ ნარგიზა...

მარკიზა ლიდენაუ.

ინჩეს ასუმ? სად მცალიან!
პოკა, აუფიდერზაინ!
პოლიტგანიდან რომ მოვლენ:
ნუ მიუტან იმათ სიინს.

სინიორა ოლენი.

პარდონ! იმათ ყურს ვინ ათხოვს.
დლია ნიხ? ფი, ფი, ი ნი შაგუ.
ა კტო ტაოს... ია გატოვა,
სულიფ, სერდცით ყველა ბაგუ.

მარკიზა ლიდენაუ.

ძლაბო! კაკ არს მისი საქმე
მე რომ იცი, ნამ დუშნკი?
სან ისტირსან?—ექუც კასემ,
ინტერესუემ თუ შენც კი!

სინიორა ოლენი.

რომელიმემ თუ აქ წყალი
მოითხოვოს—არ აღიოსო.
სპეშუ! ჩემიც მიცდის ვ უგლუ,
რომლის ტრფობის სენი მჭირს, ო!..

დ უ ე ტ ი.

რაც უნდ ბევრი წყალი გქონდეს
პოლიტგანლებს არ ვაჩვენებთ:
პატივცემა?—იჩენ ნუჟნო!
მეხი! ფი-დონკ!..შევაჩვენეთ...

ხმა კასიდან.

აჰ, ვი მაი ფუელინი!
ქენით ისე როვარც გინდათ.
ოლონდ ეკაეთ—კი ყველგან.
გამოიყვანოთ მე წმინდათ...

დ ა შ ნ ა.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან. რედაქტორი—პ. ქუთათელაძე.